ევროპის ფეხბურთის დღე

18 ოქტომბერს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების ოფიციალური შეხვედრები, რომლებშიც სსრ კავშირიდან მონაწილეობდნენ თბილისის `დინამო", კიევის `დინამო" და მოსკოვის `ტორპედო".

ბერლინი. ოლიმპიური სტადიონი. 18 ოქტომბერი.

"ჰერტა" (დასავლეთ ბერლინი) - `დინამო" (თბილისი) 2:0 (1:0).

"ჰერტა": ნიგბური, ზიდატი, ბრიუკი, ფერსტერი, ვაინერი, ნიუსინგი, ზიდკა, ბეერი (გერსდორფი), გრანიტცა, ბლეჰშმიდტი, კრემერი.

"დინამო": გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე (სულაქველიძე), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი მ. ვლაიჩი (იუგოსლავია).

გაფრთხილებული არიან ზიდატი, ქორიძე.

მინდორზე პირველივე წუთებიდან გაჩაღდა დაძაბული ბრძოლა ორმხრივი იერიშებით. ტემპი მაღალი იყო, ტრიბუნები ხმაურით ახდენდნენ რეაგირებას ბრძოლის რთულ პერიპეტიებზე.

დინამოელები ახლოს იყვნენ წარმატებასთან 14-ე წუთზე, როცა გათამაშებული იქნა შესანიშნავად ჩაფიქრებული, ტემპიანი კომბინაცია. ქორიძემ გადააწოდა ყიფიანს, ამ უკანასკნელმა - გუცაევს, - გუცაევმა, რომელიც მარცხენა ფლანგზე იმყოფებოდა, მარჯვნივ გადაიყვანა ბურთი, სადაც იგი მიიღო მ. მაჩაიძემ. თბილისელთა კაპიტანის უძლიერესი დარტყმა ზედა ძელს მოხვდა.

მასპინძლები კარგა ხნის მანძილზე მინდვრის შუაგულს ვერ სცდებოდნენ და დინამოელთა აქტიური თამაშის გამო ჯერ კიდევ საჯარიმო მოედნამდე კარგავდნენ ბურთს, სტუმრები კი ხშირად ახორციელებდნენ კონტრიერიშებს.

35-ე წუთზე ყიფიანმა ზუსტად გაიყვანა შენგელია გარღვევაზე. დინამოელი გაექცა მეტოქეებს და პირისპირ გადიოდა მეკარე ნიგბურთან, როცა მარჯვენა მცველმა ზიდატმა სტაცა ხელი მას მაისურში და წააქცია. მცველმა აშკარა ხიფათს გადაარჩინა თავისი გუნდი, თუმცა ეს მას გაფრთხილების ფასად დაუჯდა.

მასპინძლები ამ შემთხვევის გარდა ხშირად ჯარიმდებოდნენ, ვინაიდან სისტემატურად არღვევდნენ წესს მეტოქესთან ბრძოლის დროს. მსაჯს მრავალი საჯარიმო დარტყმის დანიშვნა მოუხდა "ჰერტას" კარისკენ.

მიმდინარეობდა შეხვედრის 42-ე წუთი, როცა დინამოელებმა მინდვრის შუაგულში ელემენტარულ სიტუაციაში დაკარგეს ბურთი. იგი ხელთ იგდო ბრიუკმა და წინ, დინამოელთა საჯარიმო მოედანზე გადასცა ნიუსინგს. ეს ადგილი დაუცველი აღმოჩნდა, ნიუსინგმაც დაახლოებით 14 მეტრიდან შეუფერხებლად დაარტყა მიზანში - 1:0.

ანალოგიური ტექნიკური შეცდომის შედეგი იყო მეორე გოლიც, რომელიც გრანიტცამ გაიტანა 63-ე წუთზე: ბურთი ჰქონდა მ. მაჩაიძეს. მან იგი გადააწოდა კანთელაძეს, კანთელაძემ დაარტყა და გადაცემა ჩაიგდო "ჰერტას" ცენტრალურმა თავდამსხმელმა გრანიტცამ. ხიფათის სახსნელად მოქმედების ადგილისკენ გაეშურა ჩივაძე, მაგრამ გრანიტცამ მოასწრო და დაბალი ბურთი გაგზავნა ბადეში - 2:0.

დინამოელებმა ამ მეორე მარცხს გაძლიერებული იერიშებით უპასუხეს, რამდენიმე ძნელი მომენტის ლიკვიდირება მოუხდა მეკარე ნიგბურს და მცველებს. ბოლო 10 წუთი მთლიანად "ჰერტას" კართან მიმდინარეობდა, მაგრამ ცვლილების შეტანა ანგარიშში არ მოხერხდა.

“ჰერტამ” მიზანს მიაღწია და სასურველი გამარჯვებაც მოიპოვა, ამასთან მისმა მწვრთნელმა კ. კლიოტცერმა აღნიშნა: “ჩვენმა ფეხბურთელებმა საუკეთესო თამაში აჩვენეს, რაც კი ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე გვქონია”. მაგრამ საყურადღებოა თბილისის `დინამოს” უფროსი მწვრთნელის ნ. ახალკაცის მიერ გამოთქმული მოსაზრებაც: `ჰერტა” ძლიერი გუნდია. მისმა მოთამაშეებმა მატჩი სწრაფი ტემპით და მოფიქრებულად წარმართეს. ანგარიში რომ 0:3 ყოფილიყო, ნაკლები იმედი გვექნებოდა, ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ განმეორებითი მატჩისთვის საბოლოო გამარჯვების შანსები გაგვაჩნია”.

„ლელო“, 21 ოქტომბერი, 1978 წ.